

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის

პ რ ო ე ქ ტ ი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტი განისაზღვრა 27042,5 ათასი ლარი, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში 5249,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის:

საგადასახადო შემოსავლები 25541,2 ათასი ლარი ანუ 5195,7 ათასი ლარით მეტი. აქედან:

საწარმოთა ქონების გადასახადი 3300,0 ათასი ლარი, რაც 700,0 ათასი ლარით მეტია, ვიდრე 2022 წლის გეგმა.

უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადი 680,0 ათასი ლარი ანუ 300,0 ათასი ლარით მეტი. ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 15,0 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 80,0 ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 1275,0 ათასი ლარი, დამატებითი ღირებულების გადასახადი 20191,2 ათასი ლარი. ანუ 2022 წელთან შედარებით 4195,7 ათასი ლარით მეტი.

გრანტის სახით, დამტკიცებულ ბიუჯეტში, დაფიქსირებულია მხოლოდ 290,0 ათასი ლარი. მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი 290,0 ათასი ლარი ანუ 25,0 ათასი ლარით მეტი, ვიდრე 2022 წელს, მიმართული იქნება როგორც დელეგირებული, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის, ჯანმრთელობის დაცვის, ნაწილობრივ სოციალური ღონისძიებების დასაფინანსებლად. რაც შეეხება კაპიტალურ გრანტებს, შემოდინება მოხდება 2023 საბიუჯეტო წლის განმავლობაში, მთავრობის დადგენილებიდან გამომდინარე.

ბიუჯეტის შემოსავლების შევსების წყაროს წარმოადგენს სხვა შემოსავლები ანუ არასაგადასახადო შემოსავლები, რომელიც განსაზღვრულია 1161,3 ათასი ლარით. მათ შორის:

- დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი 150,0 ათასი ლარი;
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადი 150,0 ათასი ლარი;
- მიწის იჯარის შემოსავალი 10,0 ათასი ლარი;
- სანებართვო მოსაკრებელი 30,0 ათასი ლარი;
- სამხედრო სავალდებულო გადავადების მოსაკრებელი 1,0 ათასი ლარი;
- ადგილობრივი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებელი 120,0 ათასი ლარი.;
- ქონების იჯარის გადასახადი 22,0 ათასი ლარი;
- ჯარიმები, სანქციები და საურავები 628,3 ათასი ლარი;
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 50,0 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების გაყიდვიდან შემოსავალი 50,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი მუხლობრივ ჭრილში

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი განსაზღვრულია 27042,5 ათასი ლარით ანუ 2022 წელთან მიმართებაში 5249,0 ათასი ლარით მეტი.

მათ შორის:

-შრომის ანაზღაურება 3654,3 ათასი ლარი ანუ 2323,7 ათასი ლარით მეტი. აქედან: თანამდებობრივი სარგო 3290,8 ათასი ლარი, დანამატი 373,5 ათასი ლარი;

-საქონელი და მომსახურეობა 1416,7 ათასი ლარი ანუ 192,4 ათასი ლარით მეტი. აქედან: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 467,4 ათასი ლარი ანუ 96,4 ათასი ლარით მეტი, მივლინება ქვეყნის შიგნით 27,0 ათასი ლარი ანუ 19,0 ათასი ლარით მეტი, მივლინება ქვეყნის გარეთ 10,0 ათასი ლარი. ოფისის ხარჯები 264,5 ათასი ლარი ანუ 7,4 ათასი ლარით ნაკლები. ოფისის ხარჯში განივთებულია ტრანსპორტის, ტექნიკის, ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები და შედგენს 210,7 ათას ლარს ანუ 11,0 ათასი ლარით მეტს.

-სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე გადასახდელი პროცენტი 91,5 ათასი ლარი;

-გრანტები 20,0 ათასი ლარი. აქედან: საერთაშორისო ტრანზიტის 1,2 ათასი ლარი, გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან 18,8 ათასი ლარი.

-სუბსიდიები 10613,7 ათასი ლარი ანუ 2286,8 ათასი ლარით მეტი;

-სოციალური უზრუნველყოფა 1960,9 ათასი ლარი ანუ 216,3 ათასი ლარით მეტი.

-სხვა ხარჯები 997,5 ათასი ლარი ანუ 658,3 ათასი ლარით ნაკლები.

-არაფინანსური აქტივების ზრდა 8017,3 ათასი ლარი ანუ 296,1 ათასი ლარით მეტი.

-ვალდებულებების კლება 270,6 ათასი ლარი ანუ 19,2 ათასი ლარით მეტი.

მუნიციპალიტეტში, ა(ა) იპ-ების ჩათვლით, ირიცხება 1119 საშტატო ერთეული. აქედან: მმართველობაში 162 საშტატო ერთეული, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ი)პ-ებში 957 საშტატო ერთეული. სახელფასო ფონდი ა(ი)პების ჩათვლით, შეადგენს 10896726 ლარს. აქედან: მმართველობაში 3654300 ლარი, ხოლო ა(ი) პ-ებში 7242426 ლარი. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის ხელფასი საშუალოდ ა(ა)ი პ-ების ჩათვლით 811 ლარია. აქედან: მმართველობაში -1880 ლარი, ა(ა)იპ-ში 631 ლარი.

გარდა საშტატო ერთეულებისა, მუნიციპალიტეტში ხელშეკრულებით დასაქმებულია 42 კაცი, რომელთა ხელფასები ასახულია ბიუჯეტში საქონელი და მომსახურეობის მუხლში და იგი შეადგენს

497600 ლარს. მათ შორის: მმართველობაში 467400 ლარი, ა(ა)იპ-ებში 30200 ლარი. საშუალოდ თვეში ერთ მომუშავეზე ანაზღაურება 987 ლარია.

მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის ასიგნებანი ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

0100 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები სულ 5434,5 ათასი ლარი ანუ 663,5 ათასი ლარით მეტი, ვიდრე 2022 წლის ბიუჯეტით.

მათ შორის:

-შრომის ანაზღაურება 3654,3 ათასი ლარი;

-საქონელი და მომსახურეობა 1265,1 ათასი ლარი;

-გრანტები 20,0 ათასი ლარი;

-სოციალური უზრუნველყოფა 15,0 ათასი ლარი;

-სხვა ხარჯები 207,2 ათასი ლარი;

-არაფინანსური აქტივების ზრდა 272,9 ათასი ლარი. დასაქმებულთა რაოდენობა 162 საშტატო ერთეული, ერთი საშტატო ერთეულის საშუალო თვის ხელფასი 1880 ლარი.

0101 საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფის დაფინანსება 5284,5 ათასი ლარი.

მათ შორის:

-შრომის ანაზღაურება 3654,3 ათასი ლარი;

-საქონელი და მომსახურეობა 1115,1 ათასი ლარი;

-გრანტი 20,0 ათასი ლარი;

-სოციალური უზრუნველყოფა 15,0 ათასი ლარი;

-სხვა ხარჯები 207,2 ათასი ლარი;

-არაფინანსური აქტივების ზრდა 2729,0 ათასი ლარი

010101 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გასაწევი ასიგნებანი სულ 1292,3 ათასი ლარი. მათ შორის:

-შრომის ანაზღაურება 876,1 ათასი ლარი;

-საქონელი და მომსახურეობა 177,7 ათასი ლარი. აქედან: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 65,1 ათასი ლარი. ასევე, გაწერილია ტრანსპორტის, ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯები 68,0 ათასი ლარი.

-სოციალური უზრუნველყოფა 5,0 ათასი ლარი;

-სხვა ხარჯები 157,0 ათასი ლარი, აქედან: სადეპუტატო ხარჯები 146,0 ათასი ლარი;

-არაფინანსური აქტივების ზრდა 76,5 ათასი ლარი. აქედან: სატრანსპორტო საშუალებების შეძენა 65,0 ათასი ლარი. დასაქმებულთა რაოდენობა 29 სამტატო ერთეული. ერთი სამტატო ერთეულის ერთი თვის ხელფასი საშუალოდ 2517 ლარია.

010102 მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საბიუჯეტო წლის განმავლობაში გასახარჯი ასიგნებანი სულ 3744,6 ათასი ლარი. მათ შორის:

-შრომის ანაზღაურება 2629,1 ათასი ლარი;

-საქონელი და მომსახურეობა 843,1 ათასი ლარი. აქედან: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 381,5 ათასი ლარი, კომუნალური ხარჯები 98,0 ათასი ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის ხარჯები 94,0 ათასი ლარი.

-სოციალური უზრუნველყოფა 10,0 ათასი ლარი;

-სხვა ხარჯები 50,0 ათასი ლარი;

-არაფინანსური აქტივების ზრდა სულ 192,4 ათასი ლარი. აქედან: სატრანსპორტო საშუალების შეძენა 166,0 ათასი ლარი;

-გრანტი 20,0 ათასი ლარი. დასაქმებულთა რაოდენობა 125 სამტატო ერთეული. ერთი სამტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 1752 ლარი.

010103 სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ გასაწვევი ასიგნებები სულ 247,6 ათასი ლარი, აქედან: დელეგირებული 155,0 ათასი ლარი. აქედან:

-შრომის ანაზღაურება 149,1 ათასი ლარი.

-საქონელი და მომსახურეობა 94,3 ათასი ლარი. აქედან: შტატგარეშეთა ანაზღაურება 20,8 ათასი ლარი, ტრანსპორტის დაქირავება 18,0 ათასი ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი 46,0 ათასი ლარი.

-არაფინანსური აქტივების ზრდა 4,0 ათასი ლარი.

დასაქმებულთა რაოდენობა 8 სამტატო ერთეული. ერთი სამტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 1553 ლარი.

0102 საერთო დანიშნულების ხარჯები 150,0 ათასი ლარი.

010201 სარეზერვო ფონდი 150,0 ათასი ლარი ანუ ბიუჯეტის მოცულობის 0,6 პროცენტი.

0200 ინფრასტრუქტურის განვითარება სულ 8833,6 ათასი ლარი ანუ 2022 წლის მაჩვენებელთან 3170,3 ათასი ლარით მეტი.

მათ შორის:

-საქონელი და მომსახურეობა 10,0 ათასი ლარი;

-სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ ვალდებულებებზე გადასახდელი პროცენტი 66,2 ათასი ლარი;

-არაფინანსური აქტივების ზრდა 7689,4 ათასი ლარი;

-სუბსიდიები 882,7 ათასი ლარი;

-ვალდებულებების კლება 185,3 ათასი ლარი.

0201 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ასიგნებანი 7650,9 ათასი ლარი.

მათ შორის:

-საქონელი და მომსახურეობა 10,0 ათასი ლარი;

-სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე გადასახდელი პროცენტი 66,2 ათასი ლარი;

-არაფინანსური აქტივების ზრდა 7389,4 ათასი ლარი;

-ვალდებულებების კლება 185,3 ათასი ლარი.

020101 გზების მიმდინარე შეკეთება 10,0 ათასი ლარი. აქედან: საქონელი და მომსახურეობა 10,0 ათასი ლარი.

020102 გზების კაპიტალური შეკეთება 7640,9 ათასი ლარი. მათ შორის:

-სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე გადასახდელი პროცენტი 66,2 ათასი ლარი.

-არაფინანსური აქტივების ზრდა 7384,4 ათასი ლარი;

-ვალდებულებების კლება 185,3 ათასი ლარი.

0202 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 882,7 ათასი ლარი.

მათ შორის:

-სუბსიდიები 882,7 ათასი ლარი.

020205 გარე განათების მოვლა-პატრონობა სულ 882,7 ათასი ლარი. მათ შორის: სუბსიდია 882,7 ათასი ლარი.

0204 საპროექტო დოკუმენტაციისა და საამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურეობა 300,0 ათასი ლარი. მათ შორის:

-არაფინანსური აქტივების ზრდა 300,0 ათასი ლარი.

0300 დასუფთავება და გარემოს დაცვის ასიგნებანი სულ 2047,3 ათასი ლარი. მათ შორის:

- სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე გადასახდელი პროცენტი 25,3 ათასი ლარი.,

- სუბსიდია 1936,7 ათასი ლარი;

- ვალდებულებების კლება 85,3 ათასი ლარი.

0301 დასუფთავების ღონისძიებები 1936,7 ათასი ლარი.

მათ შორის:

-შრომის ანაზღაურება 1438,2 ათასი ლარი;

-საქონელი და მომსახურეობა 498,5 ათასი ლარი.

მომუშავეთა რიცხოვნობა 149 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 631 ლარი.

030101 დასუფთავება და ნარჩენების გატანა 1741,2 ათასი ლარი.

მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება 1281,5 ათასი ლარი;

- საქონელი და მომსახურეობა 459,7 ათასი ლარი.

მომუშავეთა რიცხოვნობა 136 სამტატო ერთეული. ერთი სამტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 785 ლარი.

030103 კეთილმოწყობისა და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და განვითარება 184,0 ათასი ლარი.

მათ შორის:

-შრომის ანაზღაურება 156,7 ათასი ლარი;

-საქონელი და მომსახურეობა 27,3 ათასი ლარი;

დასაქმებულთა რაოდენობა 13 სამტატო ერთეული. ერთი სამტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 1004 ლარი.

030104 მყარი ნარჩენების მართვა (ნაგავმზიდები) 110,5 ათასი ლარი.

მათ შორის;

-სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე გადასახდელი პროცენტი 25,3 ათასი ლარი;

-ვალდებულების კლება 85,3 ათასი ლარი.

0400 განათლება 4822,0 ათასი ლარი ანუ 798,0 ათასი ლარით მეტი, ვიდრე 2022 წელს. მათ შორის:

-სუბსიდირება 4756,0 ათასი ლარი;

-სხვა ხარჯები 41,0 ათასი ლარი;

-არაფინანსური აქტივების ზრდა 25,0 ათასი ლარი.

0401 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირებისთვის განსაზღვრულია 4756,0 ათასი ლარი ანუ 2022 წელთან შედარებით 1192,9 ათასი ლარით მეტი და მთლიანი ბიუჯეტის მოცულობის 18 პროცენტი.

მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება 3375,5 ათასი ლარი;

- საქონელი და მომსახურება 1373,1 ათასი ლარი. აქედან: ოფისის ხარჯებში მიმართულია 444,5 ათასი ლარი, კომუნალურ ხარჯებში მიმართულია 314,9 ათასი ლარი, კვების ხარჯებში კი 849,0 ათასი ლარი ანუ თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 2022 წელს. საშუალო გამტარიანობა გათვლილია 1300 ბავშვზე და ერთი ბავშვის კვების დღიური ღირებულება გაიზარდა 2,26 ლარიდან 3,84 ლარამდე. დასაქმებულების რაოდენობა 462 სამტატო ერთეული. ერთი სამტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი შეადგენს 609 ლარს.

0403 ზოგადი განათლების ხელშეწყობის დაფინანსება განსაზღვრულია 41,0 ათასი ლარით, რომელიც გაიხარჯება წარმატებული მოსწავლეების წახალისების მიზნით.

0500 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებებზე გათვალისწინებულია 3169,8 ათასი ლარი.

მათ შორის:

-საქონელი და მომსახურეობა 141,6 ათასი ლარი;

-სუბსიდირება 2803,9 ათასი ლარი;

-სხვა ხარჯები 184,3 ათასი ლარი;

-არაფინანსური აქტივების ზრდა 30,0 ათასი ლარი.

0501 სპორტული განვითარების ხელშეწყობის დაფინანსებაზე გათვლილია 1208,8 ათასი ლარი.

მათ შორის:

-საქონელი და მომსახურეობა 40,5 ათასი ლარი;

-სუბსიდირება 1063,8 ათასი ლარი;

-სხვა ხარჯი 94,5 ათასი ლარი;

-არაფინანსური აქტივების ზრდა 10,0 ათასი ლარი.

050101 მომსახურეობა დასვენებისა და სპორტის სფეროში 125,0 ათასი ლარი ანუ 75,0 ათასი ლარით მეტი, ვიდრე 2022 წელს. ზემოთ აღნიშნული ასიგნებანი, დაგეგმილია მიმართული იქნას შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად: ნარდი, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და მინი ფეხბურთი, პირველობა კალათბურთში, პირველობა კრივში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისთვის მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები, ჭიდაობა ძიუდოში, ზაზა ფერაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში, , ჭადრაკი, სასტენდო სროლა, ფარიკაობა, საერთაშორისო ტურნირები, სპორტსმენთა მივლინება, საქართველოს ჩემპიონების, ოლიმპიური ჩემპიონების, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონების ერთჯერადი წახალისება, მუნიციპალიტეტის პირველობა მინი ფეხბურთში.

050102 ა(ა) იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ს.საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლის ასიგნებანი , სულ 502,2 ათასი ლარი ანუ 2022 წელთან შედარებით 132,6 ათასი ლარით მეტი. მათ შორის:

-შრომის ანაზღაურება 297,2 ათასი ლარი;

-საქონელი და მომსახურეობა 205,0 ათასი ლარი. აქედან: სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა 113,6 ათასი ლარი.

დასაქმებულთა რაოდენობა 43 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 576 ლარი.

050103 ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მ.სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის დაფინანსება განსაზღვრულია სულ 561,6 ათასი ლარით.

მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება 352,7 ათასი ლარი;

-საქონელი და მომსახურეობა 208,9 ათასი ლარი. აქედან: სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა 120,0 ათასი ლარი. გარდა საბიუჯეტო სახსრებისა, განსაზღვრულია ფედერაციიდან საკუთარი სახსრების მიღება 152,0 ათასი ლარის, რომელიც მიმართული იქნება:

- შრომის ანაზღაურება 90,0 ათასი ლარი;

- საქონელი და მომსახურეობა 47,0 ათასი ლარი;

- სხვა დანარჩენი მომსახურეობა 15,0 ათასი ლარი.

- დასაქმებულთა რაოდენობა 69 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 535 ლარი.

050104 ტურიზმის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 10,0 ათასი ლარი, რომელიც გაიხარჯება : საინფორმაციო გზამკვლევის, ბროშურების, ბუკლეტების და ტურისტული ინვენტარის შესაძენად.

0502 კულტურის განვითარების ხელშეწყობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 1765,2 ათასი ლარი ანუ 2022 წელთან მიმართებაში 237,1 ათასი ლარით მეტი.

მათ შორის:

- საქონელი და მომსახურეობა 82,2 ათასი ლარი;
- სუბსიდირება 1647,0 ათასი ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა 20,0 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები 16,0 ათასი ლარი.

050201 ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის დაფინანსება განსაზღვრა 79,2 ათასი ლარით ანუ 2022 წელთან შედარებით 11,5 ათასი ლარით მეტი.

მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება 75,8 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურეობა 3,4 ათასი ლარი. გარდა საბიუჯეტო დაფინანსებისა, მოსაზიდა საკუთარი სახსრები 8,4 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნება საქონელი და მომსახურეობის ღონისძიებების დასაფინანსებლად.

დასაქმებულთა რაოდენობა 10 სამტატო ერთეული. ერთი სამტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 632 ლარი.

050102 ა(ა) იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის დაფინანსება განსაზღვრულია 260,1 ათასი ლარით ანუ 62.5 ათასი ლარით მეტი, ვიდრე 2022 საბიუჯეტო წელს.

მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება 232,5 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურეობა 22,6 ათასი ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა 5,0 ათ. ლარი.

დასაქმებულთა რაოდენობა 30 სამტატო ერთეული. ერთი სამტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 646 ლარი.

050203 ა(ა) იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედებითი ცენტრის დაფინანსება განსაზღვრულია 706,0 ათასი ლარით ანუ 150,9 ათასი ლარით მეტია, ვიდრე 2022 წელს.

მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება 654,3 ათასი ლარი;

-საქონელი და მომსახურეობა 51,7 ათასი ლარი. აქედან: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 25,5 ათასი ლარი. გარდა საბიუჯეტო სახსრებისა მოსაზიდა საკუთარი სახსრები 8,0 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნება საქონელი და მომსახურების ღონისძიებების დასაფინანსებლად.

დასაქმებულთა რაოდენობა 93 სამტატო ერთეული. ერთი სამტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 586 ლარი.

050204 ა(ა) იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დაფინანსება განსაზღვრულია 95,1 ათასი ლარით ანუ 16,6 ათასი ლარით მეტი, ვიდრე 2022 წელს.

მათ შორის:

-შრომის ანაზღაურება 84,0 ათასი ლარი;

- საქონელი და მომსახურეობა 11,1 ათასი ლარი. აქედან: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 3,5 ათასი ლარი.

დასაქმებულთა რაოდენობა 12 სამტატო ერთეული. ერთი სამტატო ერთეულის საშუალო თვის ხელფასი 583 ლარი.

050205 ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რ.ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დაფინანსება განსაზღვრულია 279,3 ათასი ლარით ანუ 2022 წელთან მიმართებაში 52,4 ათასი ლარით მეტი.

მათ შორის:

-შრომის ანაზღაურება 279,3 ათასი ლარი. გარდა საბიუჯეტო სახსრებისა , განსაზღვრულია საკუთარი სახსრები 32,0 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნება საქონელი და მომსახურეობის მუხლში.

დასაქმებულთა რაოდენობა 49 სამტატო ერთეული. ერთი სამტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 475 ლარი.

050206 ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ე. შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა 232,3 ათასი ლარი ანუ 2022 წელთან მიმართებაში 55,2 ათასი ლარით მეტი.

მათ შორის:

-შრომის ანაზღაურება 229,1 ათასი ლარი;

-საქონელი და მომსახურეობა 3,2 ათასი ლარი. განსაზღვრულია საკუთარი სახსრები 22,7 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნება საქონელი და მომსახურეობის მუხლში.

დასაქმებულთა რაოდენობა 39,5 სამტატო ერთეული. ერთი სამტატო ერთეულის თვის საშუალო ხელფასი 483 ლარი.

050207 ძეგლთა დაცვის დაფინანსება 2,1 ათასი ლარი. შეძენილი იქნება ქართული ეროვნული დროშები.

050208 იუბილეებთან დაკავშირებული ხარჯები სულ 64,3 ათასი ლარი, რომელიც 39,4 ათასი ლარით მეტია, ვიდრე 2022 წელს. ზემოთ აღნიშნული თანხა, მიმართული იქნება: ფესტივალში მონაწილეობისთვის, საჩუქრების, ჟიურის მომსახურების, სიგელების შესაძენად. „სულიკო-2023“ ფესტივალში გამარჯვებული საკონკურსო ადგილების დასაფინანსებლად, 'ღვინის ფესტივალში' გამარჯვებული საპრიზო ადგილების დასაფინანსებლად, წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის და სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

050209 კულტურის დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლოატაციის, ფუნქციონირების ხელშეწყობა 15,0 ათასი ლარი.

050210 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება 31,8 ათასი ლარი ანუ 2022 წელთან მიმართებაში 7,6 ათასი ლარით მეტი. ზემოთ აღნიშნული თანხით დაფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: ქართული თეატრის დღე, დედის დღე, 9 მაისი, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსაზღების დათვალიერება, მუზეუმების საერთაშორისო დღე, ჟურნალისტთა დღე, 26 მაისი, ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის გმირის ზ.ფერადის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, შეხვედრა პოეტებთან, საახალწლო ღონისძიებები, ქუთაისქალაქობა, ქართული ეროვნული დროშის დღე, წარმომადგენლობითი და ტრანსპორტის ხარჯები.

0503 ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება სულ 30,8 ათასი ლარი, რომელითაც მიმართული იქნება შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად: ცხრა აპრილის, ფოტოკონკურსის, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე- 1 ივნისის, დამოუკიდებლობის დღე -26 მაისის, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

0504 ეპარქიის ხარჯები 165,0 ათასი ლარი.

0600 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 2735,3 ათასი ლარი ანუ 2022 წელთან მიმართებაში 199,7 ათასი ლარით მეტი.

მათ შორის:

-სუბსიდიები 234,4 ათასი ლარი;

-სოციალური უზრუნველყოფა 1945,9 ათასი ლარი;

-სხვა ხარჯები 555,0 ათასი ლარი.

0601 ჯანმრთელობის დაცვაზე გამოყოფილი დაფინანსება სულ 204,4 ათასი ლარი.

მათ შორის:

-სუბსიდიირება 204,4 ათასი ლარი.

060101 ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზესტაფონის მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება 199,4 ათასი ლარი ანუ 2022 წელთან მიმართებაში 20,1 ათასი ლარით მეტი. აქედან: დელეგირებული თანხები 117,0 ათასი ლარი. საბიუჯეტო ასიგნებანი მიმართული იქნება შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

-შრომის ანაზღაურება 152,0 ათასი ლარი;

-საქონელი და მომსახურეობა 1,4 ათასი ლარი.

დასაქმებულთა რაოდენობა 13 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 1060 ლარი.

060102 ამბულატორიების დაფინანსება 5,0 ათასი ლარი. დაფინანსება 2022 წლის მიმართებაში 20,0 ათასი ლარით ნაკლებია, ვინაიდან, ამბულატორიების დიდი ნაწილი გადავიდა სახელმწიფო დაფინანსებაზე.

0602 სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 2500,9 ათასი ლარი, რაც 2022 წლის ხარჯებთან 199,3 ათასი ლარით მეტია.

060201 მუნიციპალიტეტში მცხოვრები პირების ფინანსური დახმარება 868,5 ათასი ლარი ანუ 17,5 ათასი ლარით მეტი 2022 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

060202 ეპილექსიითა და პარკინსონით დაავადებულთა უფასო მედიკამენტები 75,0 ათასი ლარი;

060203 თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება 113,0 ათასი ლარი, ანუ 28,0 ათასი ლარით მეტი წინა წელთან შედარებით.

060204 სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეებისთვის „უფასო სადილი“თ უზრუნველყოფა 150,0 ათასი ლარი ანუ 45,0 ათასი ლარით მეტი;

060205 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 45,0 ათასი ლარი;

060206 სტიქიით დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება 30,0 ათასი ლარი ანუ 5,0 ათასი ლარით მეტი;

060207 სარიტუალო-გარდაცვლილთა ოჯახების ფულადი დახმარება 12,0 ათასი ლარი;

060208 სადღესასწაულო დახმარება 100,0 ათასი ლარი ანუ 65,0 ათასი ლარით მეტი;

060209 მარჩენალდაკარგულების დახმარება 7,0 ათასი ლარი;

060210 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის უსინათლოების დახმარება 165,4 ათასი ლარი;

060211 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის მონაწილეების და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული ბრძოლის მონაწილეების ფინანსური დახმარება 38,0 ათასი ლარი;

060212 საცხოვრებლით უზრუნველყოფა 450,0 ათასი ლარი ანუ 10,0 ათასი ლარით მეტი;

060214 ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვების ფინანსური დახმარება 57,0 ათასი ლარი ანუ 28,8 ათასი ლარით მეტი;

060215 სამედიცინო მომსახურეობის ფინანსური დახმარება 390,0 ათასი ლარი;

0603 ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრი (წითელი ჯვარი) 30,0 ათასი ლარი.

